საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე
ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი
ნათია ჩიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლიკა ძიძიგური
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 30.07.2020 წ
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - №066/20
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - ლალი ბიწოშვილი /სიითი №2678/
საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ლალი ბიწოშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 2020 წლის 30 ივლისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლიკა ძიძიგურმა და მოითხოვა ადვოკატ ლალი ბიწოშვილისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ლალი ბიწოშვილს დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოსაგან საცხოვრებლის მიღებაში დახმარების თაობაზე იურიდიული მომსახურების გაწევისთვის დედასთან ერთად მიმართა. 2018 წლის 29 იანვარს ლიკა ძიძიგურმა და გალინა მუტაფიანმა ადვოკატს რწმუნებულებით მიანიჭეს უფლებამოსილება მათი სახელით ეწარმოებინა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს საერთო სასამართლოებში, ასევე, დაეცვა მათი ინტერესები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

1.3 ეთიკის კომისიის კითხვაზე, არსებობდა თუ არა მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავდა წინამდებარე საქმეზე ადვოკატის მომსახურების ფარგლებს და მომსახურების შინაარსს, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის წერილობითი ხელშეკრულება არ დადებულა.

1.4 მომჩივნის მითითებით, მას ადვოკატ ლალი ბიწოშვილისთვის ჯამში უნდა გადაეხადა 2000 ლარი - 1000 ლარი საქმის წარმოების დაწყებამდე, უშუალოდ საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების მოძიებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების მიზნით, 300 ლარი საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით, ხოლო 700 ლარი, როგორც ჰონორარი უნდა გადახდილიყო საქმის წარმოების დასრულებისას, როდესაც საჩივრის ავტორს ეცოდინებოდა, რომ მისი მოთხოვნა საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა.

1.5 ლიკა ძიძიგური განმარტავს, რომ მან ადვოკატს გადასცა 1400 ლარი, აქედან 1300 ლარი ჩაურიცხა მინდობილობის გაფორმების დღეს, 2018 წლის 29 იანვარს, ხოლო 100 ლარი ლალი ბიწოშვილს გადაურიცხა 2018 წლის 3 აპრილს.

1.6 საჩივრის ავტორი წერილობით წარმოდგენილ პოზიციასა და ზეპირ სხდომაზე მიუთითებდა, რომ ადვოკატი არ აწვდიდა მას არანაირ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, ლიკა ძიძიგურისთვის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენამდე უცნობი იყო ადვოკატის მიერ მის საქმეზე განხორციელებული იურიდიული მოქმედებები, ადვოკატი ხშირ შემთხვევაში არ პასუხობდა კლიენტის ზარებს, ხოლო როდესაც პასუხობდა, სხვადასხვა პირადი მიზეზის გამო უარს ამბობდა საუბარზე და საქმის დეტალების გამჟღავნებაზე, ამასთან, ადვოკატი ლალი ბიწოშვილი უარს აცხადებდა კლიენტთან შეხვედრაზე, შესაბამისად, ლიკა ძიძიგურის მითითებით, იგი არ ყოფილა სათანადოდ ინფორმირებული საქმის მიმდინარეობის შესახებ.

1.7 ლიკა ძიძიგურმა განხილვის კოლეგიის 2022 წლის 20 სექტემბრის ზეპირ სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ მართალია ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაზე დართული მასალებით დგინდება ადვოკატის მიერ საქმეზე გარკვეული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ფაქტი, მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ ლალი ბიწოშვილისთვის გადახდილი თანხა (1400 ლარი) არ არის ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებული და საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გადახდილი თანხიდან 1000 (ათასი) ლარი მას უკან უნდა დაუბრუნდეს.

2. ადვოკატ ლალი ბიწოშვილის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვითაც, მას უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის - ლიკა ძიძიგურისა და მისი დედის - გალინა მუტაფიანის ინტერესები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთობაში, ვინაიდან კლიენტები წარმოადგენდნენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს და ელოდებოდნენ სახელმწიფოსგან საცხოვრებლით დაკმაყოფილებას. ასევე, ადვოკატს უნდა მოეძიებინა და შეეგროვებინა საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა დოკუმენტაცია, სამინისტროდან გამოეთხოვა ლიკა ძიძიგურისა და გალინა მუტაფიანის

მიერ მანამდე შეტანილი განცხადებების ასლები და შესაბამისი საბუთების სრულყოფილად მოძიების შემდეგ წარედგინა ახალი განცხადება საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში. ადვოკატი განმარტავს, რომ ის არ შეპირებია კლიენტებს ბინის მიღებას, მაგრამ აუხსნა, რომ მოცემულ წარმოებაში გარკვეული გამოცდილება ჰქონდა.

2.2 ადვოკატი ლალი ბიწოშვილის განმარტებით, საჩივრის ავტორს მისთვის უნდა გადაეხადა 2000 (ორი ათასი) ლარი, საიდანაც 1000 ლარი იქნებოდა „შემოსავლების სამსახურში ანგარიშსწორებისთვის", ხოლო 1000 ლარი წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, საქმისწარმოების მიმდინარეობისას წარმოშობილი ხარჯების ასანაზღაურებელ თანხას.

2.3 ადვოკატის მითითებით, ლიკა ძიძიგურმა 2018 წლის 06 თებერვალს გადასცა მინდობილობა და ამასთან, ნაცვლად 2000 (ორი ათასი) ლარისა გადაუხადა 1300 ლარი, რის შემდგომაც ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა დაიწყო საადვოკატო მომსახურება და შესაბამისი იურიდიული მოქმედებების განხორციელება.

2.4 ადვოკატ ლალი ბიწოშვილის განმარტებით, კლიენტის საქმეზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები:

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოითხოვა კლიენტების მიერ შეტანილი დოკუმენტაცია;
- 2018 წლის 18 მაისს განცხადებით მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და ითხოვა სამინისტროს მხრიდან მათი ბინით დაკმაყოფილება;
- 2018 წლის 06 თებერვალს ახსნა-განმარტება ჩამოართვა ოლღა ზურაბაშვილს იმის თაობაზე, რომ ლიკა ძიძიგური და გალინა მუტაფიანი, ვინაიდან არიან აფხაზეთიდან დევნილები და არ გააჩნიათ არანაირი საცხოვრებელი, დროებით ცხოვრობენ მისი დედის, ნატალია არონოვას საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ ბინაში;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან 2018 წლის 04 ივნისს მიიღო წერილობითი პასუხი, რომლითაც ეცნობა, რომ გალინა მუტაფიანის განაცხადი მისი ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე შეფასებული იყო 2.5 ქულით. ადვოკატმა მოითხოვა სამმართველოს უფროსთან, ლევან სიგუასთან შეხვედრა.
- 2019 წლის 30 სექტემბერს ადვოკატმა კვლავ მიმართა სამინისტროს და განცხადებით ითხოვა ეცნობებინა, როდის მოხდებოდა ლიკა ძიძიგურისა და გალინა მუტაფიანის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, ასევე ხომ არ იყო საჭიროება განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა გალინა მუტაფიანის განცხადებისთვის შესაბამისი ქულის მინიჭება და ამასთან, სად იგეგმებოდა საცხოვრებელი ფართის გამოყოფა განმცხადებლებისთვის; აღნიშნულზე ადვოკატმა მიიღო პასუხი, რომ იგეგმებოდა ახალი რეგისტრაციები და ამავე დროს დაიწყო სამინისტროში რეორგანიზაცია, სამინისტროთა გაერთიანება და ა.შ;

- ასევე, ლალი ბიწოშვილმა კიდევ ერთხელ მიმართა სამინისტროს მის ზემოაღნიშნულ განცხადებებზე რეაგირების მოხდენისა და კლიენტების საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე ოფიციალური პასუხის გაცემის თხოვნით. პანდემიიდან გამომდინარე შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ ადვოკატს ხელი შეუშალა ბოლო მიმართვაზე მიეღო პასუხი.

2.5 ადვოკატი უთითებს, რომ საქმეზე მას კომუნიკაცია ჰქონდა ლიკა ძიძიგურთან. მან ლიკა ძიძიგურს შესთავაზა სამინისტროს წინ მოშიმშილე ლტოლვილების აქციას შეერთებოდნენ, საქმეზე მოეწვიათ ჟურნალისტებიც. მას არ აურიდებია თავი საჩივრის ავტორთან კომუნიკაციისთვის, ლიკა ძიძიგური ინფორმირებული იყო საქმის მიმდინარეობის თაობაზე და მხოლოდ ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შეფერხდა მათი კონტაქტი, ვინაიდან ადვოკატს გაუფუჭდა მობილური ტელეფონი, ხელოსნები არ მუშაობდნენ და ელოდებოდა მის შეკეთებას, რაც მოგვიანებით აუხსნა ლიკა ძიძიგურს. ამასთან კლიენტთან ივნისის თვეში ერთ-ერთი სატელეფონო კომუნიკაციის დროს ლალი ბიწოშვილს ძმა ჰყავდა ახალი გარდაცვლილი და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო არ შეეძლო ლიკა ძიძიგურთან საქმეზე კომუნიკაცია, რის შესახებაც ასევე დეტალურად აცნობა კლიენტს. იმ პერიოდში ლიკა ძიძიგურის დედა აქტიურად ურეკავდა ადვოკატს და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რადგან ბინა ვერ მიიღეს. ადვოკატმა განუმარტა, რომ მას სამინისტროდან ბოლო მიმართვაზე პასუხი მიღებული არ ჰქონდა, რომ გაესაჩივრებინა. კლიენტებმა უარი განაცხადეს ადვოკატის მიერ მომსახურების გაგრძელებაზე.

2.6 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ იგი მზადაა, მიღებული 1300 ლარიდან გამოქვითოს საქმეზე გაწეული ხარჯი და დარჩენილი თანხა დაუბრუნოს საჩივრის ავტორს.

2.7 ადვოკატმა ვერ მიიღო მონაწილეობა 2022 წლის 20 სექტემბერს საქმის ზეპირ განხილვაში და ითხოვა მისი ჩართულობის გარეშე განხილულიყო დისციპლინური საქმე და კოლეგიას ეხელმძღვანელა მის მიერ წარმოდგენილი განმარტებითა და დანართით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 23 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა დაარღვია კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირების, ჰონორარის განსაზღვრისა და გაანგარიშების წესის, ხარჯთაღრიცხვის წარმოებისა და კლიენტის ქონების კეთილსინდისიერი მართვის ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა,ბ) ქვეპუნქტები, 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 8.6, 8.8, 8.12, 8.13), რადგან საჩივრის ავტორს არ აწვდიდა ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობისა და განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების შესახებ; ასევე, ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა საადვოკატო მომსახურებისთვის განკუთვნილი ჰონორარის გამოთვლის წესი და განაკვეთი კლიენტს წინასწარ არ აცნობა კონკრეტულად, ამასთან ადვოკატი არ აწარმოებდა ჩანაწერებს საქმისწარმოებისას გაღებულ ხარჯებზე და კლიენტს არ აქვს ინფორმაცია ადვოკატის მიერ მიღებული თანხიდან, 1400 ლარიდან, რისთვის რა თანხა იყო განკუთვნილი და გამოყენებული.

საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული თანხიდან, კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად ვერ გაუწია და გამოუმუშავებელი თანხა მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა, ასევე თანხა, რომელიც ხარჯების სახით მიიღო, რითაც დაარღვია გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატ ლალი ბიწოშვილს უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის - ლიკა ძიძიგურისა და მისი დედის - გალინა მუტაფიანის ინტერესები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთობაში სახელმწიფოსგან საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის. მხარეებს შორის, 2018 წლის 29 იანვარს, გაფორმდა მინდობილობა, რომლითაც ადვოკატს მიენიჭა წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება;*
- *2018 წლის 29 იანვარს გაცემული მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N180087808.*

4.1.2 ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა ლიკა ძიძიგურის საქმეზე განახორციელა შემდეგი მოქმედებები:

- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოითხოვა კლიენტების მიერ შეტანილი დოკუმენტაცია;
- 2018 წლის 18 მაისს განცხადებით მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და ითხოვა სამინისტროს მხრიდან მათი ბინით დაკმაყოფილება;
- 2018 წლის 06 თებერვალს ახსნა-განმარტება ჩამოართვა ოლღა ზურაბაშვილს იმის თაობაზე, რომ ლიკა ძიძიგური და გალინა მუტაფიანი, ვინაიდან არიან აფხაზეთიდან დევნილები და არ გააჩნიათ არანაირი საცხოვრებელი, დროებით ცხოვრობენ მისი დედის, ნატალია არონოვას საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ ბინაში;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან 2018 წლის 04 ივნისს მიიღო წერილობითი პასუხი, რომლითაც ეცნობა, რომ გალინა მუტაფიანის განაცხადი მისი ოჯახის საცხოვრებელი ფართით

უზრუნველყოფის თაობაზე შეფასებული იყო 2.5 ქულით. ადვოკატმა მოითხოვა სამმართველოს უფროსთან, ლევან სიგუასთან შეხვედრა.

- 2019 წლის 30 სექტემბერს ადვოკატმა კვლავ მიმართა სამინისტროს და განცხადებით ითხოვა ეცნობებინა, როდის მოხდებოდა ლიკა ძიძიგურისა და გალინა მუტაფიანის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, ასევე ხომ არ იყო საჭიროება განცხადებაზე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა გალინა მუტაფიანის განცხადებისთვის შესაბამისი ქულის მინიჭება და ამასთან, სად იგეგმებოდა საცხოვრებელი ფართის გამოყოფა განმცხადებლებისთვის; აღნიშნულზე ადვოკატმა მიიღო პასუხი, რომ იგეგმებოდა ახალი რეგისტრაციები და ამავე დროს დაიწყო სამინისტროში რეორგანიზაცია, სამინისტროთა გაერთიანება და ა.შ;
- ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა კიდევ ერთხელ მიმართა სამინისტროს მის ზემოაღნიშნულ განცხადებებზე რეაგირების მოხდენისა და კლიენტების საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე ოფიციალური პასუხის გაცემის თხოვნით. პანდემიიდან გამომდინარე შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ ადვოკატს ხელი შეუშალა ბოლო მიმართვაზე მიეღო პასუხი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *ადვოკატი ლალი ბიწოშვილის 2018 წლის 18 მაისის განცხადება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსადმი.*
- *ადვოკატი ლალი ბიწოშვილის მიერ, 2018 წლის 06 თებერვალს, ოლღა ზურაბაშვილისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.*
- *ადვოკატი ლალი ბიწოშვილი მიერ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან 2018 წლის 04 ივნისს მიღებული წერილობითი პასუხი.*
- *ადვოკატი ლალი ბიწოშვილის, 2019 წლის 30 სექტემბრის, განცხადება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსადმი.*
- *ადვოკატი ლალი ბიწოშვილის განცხადება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსადმი.*

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია, რომ ადვოკატი ლალი ბიწოშვილი ლიკა ძიძიგურს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

ადვოკატი ლალი ბიწოშვილი რეალურად ახორციელებდა საქმიანობას ლიკა ძიძიგურის სასარგებლოდ, მაგრამ სადავოა რამდენად ჰქონდა აღნიშნულზე ინფორმაცია თავად კლიენტს. კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები: ლიკა ძიძიგურის განმარტებით, ადვოკატ ლალი ბიწოშვილს მისთვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია, ლიკა ძიძიგურისთვის უცნობი იყო, რა იურიდიულ მოქმედებებს ახორციელებდა კლიენტის სასარგებლოდ ადვოკატი, საჩივრის ავტორი დამატებით პრეტენზიას გამოხატავს იმის თაობაზე,

რომ ლალი ბიწოშვილი ან საერთოდ არ პასუხობდა კლიენტის სატელეფონო ზარებს, ან სხვადასხვა პირადი მიზეზის გამო მუდმივად უარს ამბობდა საქმის მიმდინარეობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, ამასთან, იგი უარს აცხადებდა მხარესთან შეხვედრაზე. კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინს ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). შესაბამისად, კლიენტისათვის საქმეზე სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს. მას შემდეგ, რაც ლიკა ძიძიგურმა მიუთითა ადვოკატის მიერ ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევის ფაქტზე, ადვოკატ ლალი ბიწოშვილს გაუჩნდა ვალდებულება წარმოედგინა რელევანტური მტკიცებულებები, რომ მას შესრულებული ჰქონდა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. შესაბამისად, კომისია ადგენს, რომ ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ჰყავდა საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება.*

4.2.2 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ლალი ბიწოშვილისაგან კლიენტისთვის - ლიკა ძიძიგურისათვის საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ იყო საქმის წარმოების ფინანსურ საკითხებთან (ხარჯებთან) დაკავშირებული ინფორმაცია, კლიენტმა გარკვევით არ იცოდა ჰონორარის განაკვეთი და გამოთვლის წესი, ადვოკატმა არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა და კლიენტს არ გადასცა ფინანსური ანგარიშგება, რის გამოც სადავოა კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერი შენახვა და მართვა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ლალი ბიწოშვილის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრა 2000 (ორი ათასი) ლარით. მხარეებს გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრებები იმაზე თუ გადახდილი თანხიდან რა ნაწილი შეადგენდა ჰონორარს და რა ნაწილი - ხარჯს. ლიკა ძიძიგურის განმარტებით, ზემოაღნიშნული 2000 ლარიდან 1000 ლარის გადახდა, როგორც ჰონორარის, უნდა მომხდარიყო საქმის წარმოების დაწყებამდე, უშუალოდ საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების მოძიებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების მიზნით, 300 ლარი წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, ხოლო 700 ლარი უნდა გადახდილიყო საქმის წარმოების დასრულებისას, როდესაც საჩივრის ავტორს ეცოდინებოდა, რომ მისი მოთხოვნა საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა (ე.წ „წარმატების ჰონორარი“). ადვოკატი ლალი ბიწოშვილი მიუთითებს, რომ გადასახდელი თანხიდან 1000 ლარი განკუთვნილი იყო „შემოსავლების სამსახურში ანგარიშისთვის“, ხოლო დარჩენილი 1000 ლარი წარმოადგენდა როგორც ჰონორარს, ასევე საქმისწარმოების მიმდინარეობისას წარმოშობილი ხარჯების ასანაზღაურებელ თანხას. ლიკა ძიძიგური უთითებს, რომ მან ადვოკატს ჯამში 1400 ლარი გადაუხადა, თუმცა ადვოკატი ლალი ბიწოშვილი მხოლოდ

1300 ლარის მიღებას ადასტურებს. საქმის მასალებით (გადახდის ქვითრებით) დგინდება, რომ 06.02.2018 წელს ლიკა ძიძიგურმა ადვოკატს გადაურიცხა 1300 ლარი, ხოლო 03.04.2018 წელს - 100 ლარი, ჯამში 1400 ლარი. ადვოკატი არ განმარტავს რა ოდენობის თანხა წარმოადგენდა ჰონორარს და რა თანხა იქნებოდა გამოყენებული ხარჯებისთვის, რის გამოც ვერ დგინდება გადაცემული თანხების მიზნობრიობა. ასევე, ადვოკატი არ განმარტავს რას მოიცავდა ეს „ხარჯები". არც კლიენტისთვის და არც ეთიკის კომისიაში საქმის წარმოების პერიოდში ადვოკატს არ წარმოუდგენია ფინანსური ანგარიშგება. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნა, რომ მიღებულ 1300 ლარს გამოაკლებდა ხარჯებს და დარჩენილ თანხას კლიენტს დაუბრუნებდა, თუმცა არ მიუთითებია რა ოდენობის ხარჯი გასწია ლიკა ძიძიგურის საქმეზე. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია რას ნიშნავდა „შემოსავლების სამსახურში ანგარიშისთვის" გადასახდელი თანხა, ასევე 1000 ლარიდან რა იქნებოდა გამოყენებული, როგორც ჰონორარი და რა როგორც ხარჯი. ბუნდოვანია გადასახდელი 700 ლარი წარმოადგენდა წარმატების ჰონორარს, თუ იგი გადახდილი უნდა ყოფილიყო მიუხედავად საქმეზე დამდგარი შედეგისა. საქმეში არ იძებნება შესაბამისი ჩანაწერები კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული თანხის დანიშნულებისა და გამოყენების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ვერ დასტურდება, რომ კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი იყო საქმის წარმოების ფინანსურ საკითხებთან (ხარჯებთან) დაკავშირებული ინფორმაცია, კლიენტმა გარკვევით იცოდა ჰონორარის განაკვეთი და გამოთვლის წესი, საქმისწარმოების ხარჯებზე ადვოკატმა აწარმოა ჩანაწერები და კლიენტს გადასცა ფინანსური ანგარიშგება, კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერად შეინახა და მართა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტება

სს „საქართველოს ბანკის" სალაროს შემოსვლის ორდერი: NO36/5478.

4.2.3 განხილვის კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად ვერ გაუწია და გამოუმუშავებელი თანხა მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა კლიენტს. ასევე თანხა, რომელიც ადვოკატმა ხარჯების სახით მიიღო, სრულად არ გამოუყენებია, თუმცა დარჩენილი ნაწილი კლიენტისთვის არ დაუბრუნებია მომსახურების შეწყვეტისთანავე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატს ლიკა ძიძიგურისა და გალინა მუტაფიანისთვის უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ კლიენტების საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან სადავოა კლიენტსა და ადვოკატს შორის შეთანხმებული 2000 ლარიდან რა თანხა წარმოადგენდა უშუალოდ ადვოკატის ჰონორარს და რა თანხა იყო განკუთვნილი საქმისწარმოების ხარჯებისთვის. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მის საქმეზე ადვოკატ ლალი ბიწოშვილს, როგორც კომისიაში წარმოდგენილი განმარტებით დაადგინა სამინისტროში წარდგენილი აქვს სხვადასხვა განცხადება, თუმცა თვლის, რომ ვინაიდან ადვოკატსა და მას შორის ურთიერთობა შეწყდა, ადვოკატისთვის გადახდილი 1400 ლარი არ არის

ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებული და თანხის ნაწილი (ლიკა ძიძიგურის შეფასებით, 1000 ლარი) ექვემდებარება უკან დაბრუნებას. კოლეგიისთვის ცნობილია მხოლოდ ადვოკატის მიერ აღებული კლიენტის ფულადი სახსრების ჯამური ოდენობა, მაგრამ ადვოკატს არ წარმოუდგენია დასაბუთება მიღებული თანხიდან რა იყო განკუთვნილი მისი შრომის ასანაზღაურებლად და რა ხარჯებისთვის. ადვოკატმა კლიენტს არ წარუდგინა ფინანსური ანგარიშგება. ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა წერილობით განმარტებაში განაცხადა, რომ მიღებული თანხიდან გამოაკლებდა ხარჯებს და დარჩენილ თანხას დაუბრუნებდა კლიენტს, რისთვის მას კომისიის მიერ მიეცა გონივრული დრო, თუმცა ადვოკატი ლალი ბიწოშვილი კლიენტს არ დაკავშირებია. ფინანსური ანგარიშგება ადვოკატს არც ეთიკის კომისიაში წარმოუდგენია.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა, ბ), 6(2), ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.6, 8.8, 8.12, 8.13, 8.15.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა დაარღვია საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის... შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ბ).

6.2 საადვოკატო მომსახურების თაობაზე ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმების მომენტიდან, ადვოკატს წარმოეშობა კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. კლიენტის ინფორმირება მოიცავს კლიენტის დროულ და სწორ ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტის დროული და სწორი ინფორმირება ემსახურება იმ მიზანს, რომ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კლიენტი აქტიურად იყოს ჩართული და მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები მის სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით. მართალია, ადვოკატი არის კლიენტის ინტერესების დამცველი, თუმცა, ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატირების პროცესში ადვოკატის როლი შემოიფარგლება კლიენტისათვის სამართლებრივი რჩევის მიცემით და არა კლიენტის ნაცვლად გადაწყვეტილებების მიღებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ამ პროცესმა კლიენტს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა უნდა მისცეს.

6.3 „ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები. კლიენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავადაც დაუკავშირდეს ადვოკატს და ადვოკატი არ უნდა უზღუდავდეს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის", 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №074/10, 5.12, 5.13).

6.4 მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომლის მიხედვით ადვოკატს უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის - ლიკა ძიძიგურისა და მისი დედის - გალინა მუტაფიანის ინტერესები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ურთიერთობაში სახელმწიფოსგან საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის.

ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა განახორციელა გარკვეული საპროცესო მოქმედებები ლიკა ძიძიგურის საქმეზე, თუმცა კლიენტი, ლიკა ძიძიგური, არ ფლობდა ინფორმაციას ადვოკატი ლალი ბიწოშვილის მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებების თაობაზე, რადგან ადვოკატი თავს არიდებდა კლიენტთან ურთიერთობას და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატმა მიუთითა გარკვეულ გარემოებებზე, რომლებმაც მას ხელი შეუშალეს კლიენტთან დროულ კომუნიკაციაში, კერძოდ, ადვოკატის განმარტებით, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მისი მობილური ტელეფონი გაფუჭდა, მოგვიანებით გარდაეცვალა ოჯახის წევრი. კომისიის შეფასებით, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ ლალი ბიწოშვილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას და არა მომჩივანს, რომელიც უარყოფს ადვოკატის მხრიდან ინფორმაციის მიღებას. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კომისიას დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულება, რომ ახდენდა კლიენტის ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. შესაძლოა ადვოკატს ჰქონდეს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ვერ მოახდინოს კლიენტის დროული ინფორმირება (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება და ა.შ.); თუმცა, ადვოკატმა კლიენტი არ უნდა ამყოფოს ინფორმაციულ ვაკუუმში და გონივრულ ვადებში უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია კომუნიკაციის შეუძლებლობის გამომწვევი საპატიო მიზეზის თაობაზე. ადვოკატ ლალი ბიწოშვილს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის ახდენდა კლიენტის დროულ ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე ან მას ჰქონდა საპატიო მიზეზი, რომელიც შეუძლებელს ხდიდა გარკვეული პერიოდით კლიენტის ინფორმირებას. თავად ადვოკატის განმარტებით ჩანს, რომ კლიენტთან კომუნიკაციის შეწყვეტის მიზეზი გარკვეული პერიოდით პირადი პრობლემა გახდა, რაც ადამიანური თვალსაზრისით გასათვალისწინებელი ფაქტია, თუმცა ადვოკატის ზეპირი განმარტების გარდა საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რაც კომისიას მისცემდა შესაძლებლობას დაედგინა ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირება საქმის მიმდინარეობის თაობაზე. შესაბამისად, კომისია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ

ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მხრიდან დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.5 ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება საადვოკატო მომსახურებისთვის განკუთვნილი ჰონორარის გამოთვლის წესის, შესაბამისი განაკვეთისა და მოსალოდნელი ხაჯების შესახებ; ამასთან, ადვოკატი არ აწარმოებდა ჩანაწერებს საქმისწარმოებისას გაღებულ ხარჯებზე.

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია … საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.12).

ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13).

6.6 „კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებზე ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებზე ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას. აღნიშნული ჩანაწერების წარმოება აუცილებელია, რათა შემდგომში ზუსტად დადგინდეს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული თანხების მიზნობრიობა... შესაბამისი ჩანაწერების წარმოებისა და ჰონორარის განსაზღვრისა და გაანგარიშების თაობაზე კლიენტის ინფორმირების (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8) ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრება ადვოკატს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 31.03.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17).

6.7 „საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი

საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, 3) მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები თუ მიმართოს სხვა კანონიერ საშუალებებს მისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს“ (ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №098/17, 8.3).

6.8 „მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა. ადვოკატის მიერ აღნიშნული ეთიკური ვალდებულებების შესრულება ამყარებს კლიენტში ნდობას არა მხოლოდ ამ კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატთა კორპუსის მიმართ და შესაბამისად ზრდის საზოგადოებაში ნდობას ადვოკატის პროფესიის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №098/17, 8.4).

6.9 „ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს ეს მინდობილი თანხები მის ფულად სახსრებთან ერთად (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13), ამავე ნორმაში მითითებულია ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც მინდობილი ხარჯების კეთილსინდისიერად მართვას ითვალისწინებს. ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულები არ გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ თანხებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი“ (ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №098/17, 8.5).

6.10 „კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდუციარული ვალდებულებების დარღვევას“ (ეთიკის კომისიის 18.06.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №004/14).

6.11 „ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისთვის, ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების გასახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება“ (ეთიკის კომისიის 02.07.2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №003/12).

6.12 ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა კლიენტს - ლიკა ძიძიგურს არ განუმარტა ჰონორარის განსაზღვრისა და გაანგარიშების წესი. ჰონორარის ოდენობის სამართლიანად განსაზღვრა არ წარმოადგენს პროფესიული სტანდარტების განხილვის საგანს, თუმცა ჰონორარის განსაზღვრისას ეთიკის კოდექსის 8.8. მუხლი ადვოკატს ავალდებულებს გაითვალისწინოს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: (1) ჰონორარის ოდენობა და გამოთვლის წესი წინასწარ ცნობილი უნდა იყოს კლიენტისათვის; და (2) ჰონორარის ოდენობა და გამოთვლის წესი მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის. ამასთან, ორივე გარემოების მიმართ ადვოკატს აკისრია მტკიცების ტვირთი. ადვოკატმა ცალკე უნდა გამოყოს მისი ჰონორარი და ცალკე - მოსალოდნელი ხარჯი, რადგან ეს უკანასკნელი არ არის ჰონორარის ნაწილი. კლიენტისათვის არ იყო ცნობილი ადვოკატის მიერ შეთავაზებული 2000 ლარიდან რა ნაწილი იყო ფიქსირებული ჰონორარი, რა ნაწილი - წარმატების ჰონორარი და რა ნაწილი - ხარჯი.

6.13 ადვოკატს არ მიუწოდებია კლიენტისათვის სწორი ინფდორმაცია რას მოიცავდა მოსალოდნელი ხარჯი. თავად ადვოკატი ლალი ბიწოშვილი უთითებს, რომ გადასახდელი თანხიდან 1000 ლარი განკუთვნილი იყო „შემოსავლების სამსახურში ანგარიშისთვის“, ხოლო დარჩენილი 1000 ლარი წარმოადგენდა როგორც ჰონორარს, ასევე საქმისწარმოების მიმდინარეობისას წარმოშობილ „ხარჯებს, მგზავრობის ხარჯებს და ა.შ.“ შემოსავლების სამსახურში ანგარიშსწორებისას სახელმწიფოს მიერ დადგენილია კონკრეტული პროცენტული ოდენობა და არა ფიქსირებული „1000 ლარი“ და ეს თანხა გამოითვლება არა კლიენტისაგან მიღებული საერთო თანხიდან, არამედ ადვოკატის მიერ მიღებული ჰონორარიდან. კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ხარჯების ნეიტრალურ ანგარიშზე განთავსებას, კეთილსინდისიერ მართვასა და აღრიცხვას ადვოკატი უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებლად მისი ჰონორარისგან. ეთიკის კომისიისათვის გაურკვეველია რას მოიცავდა „ხარჯების ან მგზავრობის თანხები“, რომელზეც ადვოკატმა მიუთითა. კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი რას მოიცავს საქმისწარმოების ხარჯი რათა შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება მის მიერ განსახორციელებელ სამართლებრივ ქმედებებთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ადვოკატის ეთიკური ვალდებულება

წინასწარ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მისი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის, გაანგარიშების წესისა და საქმეზე მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

6.14 ადვოკატმა დაარღვია კლიენტის მიერ მინდობილი თანხების კეთილსინდისიერად მართვის ფიდუციური ვალდებულება, რაც მოიცავს არა მხოლოდ კლიენტის ქონების მიზნობრივ ხარჯვას, არამედ ამ ხარჯების სრულ და სწორ აღრიცხვასა და წარდგენას კლიენტისათვის. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულება ადვოკატს აკისრია იმის მიუხედავად კლიენტი ითხოვს თუ არა მისგან ანგარიშგებას. იმ მომენტიდან, როდესაც კლიენტის მართვაში აღმოჩნდება კლიენტის ფულადი სახსრები (მინდობილი თანხები), ადვოკატს წარმოეშობა ამ თანხების კეთილსინდისიერად მართვისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულება. რაც შეეხება ანგარიშგების კლიენტისათვის წარდგენის ვალდებულებას, ადვოკატს ეკისრება მას შემდეგ რაც კლიენტი მოითხოვს მისგან ამ ინფორმაციას. ადვოკატ ლალი ბიწოშვილს არ წარუდგენია ეთიკის კომისიისათვის მტკიცებულება, რომელიც კლიენტის ფულადი სახსრების კეთილსინდისიერ მართვას დაადასტურებდა. ეთიკის კომისიისადმი წარდგენილ განცხადებაში ადვოკატმა თავად განმარტა, რომ „შემოსავლების სამსახურში ანგარიშისთვის“ გამოართვა კლიენტს თავდაპირველი 1000 ლარი, რაც ადასტურებს მისი მხრიდან კლიენტის თანხების არაკეთილსინდისიერ მართვას. ამასთან, ადვოკატმა კლიენტს არ წარუდგინა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც დაარწმუნებდა მას ადვოკატის კეთილსინდისიერებაში და არც თანხის ნაწილი დაუბრუნა. ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა წერილობით განმარტებაში განაცხადა, რომ მიღებული თანხიდან გამოაკლებდა ხარჯებს და დარჩენილ თანხას დაუბრუნებდა კლიენტს, რისთვის მას კომისიის მიერ მიეცა გონივრული დრო, თუმცა ადვოკატი ლალი ბიწოშვილი კლიენტს არ დაკავშირებია. ფინანსური ანგარიშგება ადვოკატს არც ეთიკის კომისიაში წარმოუდგენია.

6.15 შესაბამისად, ეთიკის კომისია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების, კლიენტის ფულადი სახსრების შენახვისა და კეთილსინდისიერი მართვის ვალდებლებები - ფიდუციური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5(ა), 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები: 8.6, 8.8, 8.12, 8.13), რადგან კლიენტს წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია საადვოკატო მომსახურებისთვის განკუთვნილი ჰონორარის ოდენობის, გამოთვლის წესისა და მოსალოდნელი ხაჯების შესახებ; ამასთან, ადვოკატი არ აწარმოებდა ჩანაწერებს საქმისწარმოებისას გაღებულ ხარჯებზე.

6.16 განხილვის კოლეგიამ, ასევე, დაადგინა ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიერ კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულების (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15) დარღვევა.

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.17 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 10.12.2014 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №037/14, 6.2).

6.18 „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა (ეთიკის კომისიის 22.02.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №057/17, 5.10).

6.19 „ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა, თუმცა, როდესაც კომისია აფასებს ადვოკატის მიერ ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევას, გადახდილი ჰონორარის სამართლიანად გამომუშავების ფაქტის დასადგენად, ადვოკატის სამტკიცებელია კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან უკვე გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობა და სავარაუდოობა“ (ეთიკის კომისიის 22.02.2018 წლის დისციპლინური საქმე N057/17, 5.12).

6.20 ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ადვოკატ ლალი ბიწოშვილს კლიენტებისთვის - ლიკა ძიძიგურისა და გალინა მუტაფიანისთვის უნდა გაეწია საადვოკატო მომსახურება დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ კლიენტების საცხოვრებლით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მხარეები შეთანხმდნენ 2000 ლარის სანაცვლოდ საქმის წარმეობაზე, რაც მოიცავდა ჰონორარს და საქმისწარმოების ხარჯებს -

ერთობლივად. კლიენტმა ადვოკატს გადასცა 1400 ლარი, თუმცა არ დგინდება აღნიშნული 1400 ლარიდან რა თანხა წარმოადგენდა უშუალოდ ადვოკატის ჰონორარს და რა თანხა იყო განკუთვნილი საქმისწარმოების ხარჯებისთვის. მტკიცების ტვირთი კლიენტის ფულადი სახსრების დანიშნულებაზე და გამოყენების მიზნობრიობაზე აკისრია ადვოკატს, რომელიც ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა ვერ დაადასტურა.

6.21 ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა ლიკა ძიძიგურის საქმეზე განახორციელა გარკვეული სამართლებრივი მოქმედებები (იხ. 2.4 პუნქტი). თუმცა, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შეწყდა ვადამდე - ადვოკატის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე. შესაბამისად, ადვოკატმა სრულად ვერ გამოიმუშავა კლიენტის მიერ გადახდილი თანხა. განხილვის კოლეგიისთვის ცნობილია მხოლოდ ადვოკატის მიერ აღებული კლიენტის ფულადი სახსრების ჯამური ოდენობა, მაგრამ ადვოკატს არ წარმოუდგენია დასაბუთება მიღებული თანხიდან რა იყო განკუთვნილი მისი შრომის ასანაზღაურებლად, რა ხარჯებისთვის. ადვოკატმა კლიენტის მომსახურების შეწყვეტის შემდეგ კლიენტს არც ანგარიშგება წარუდგინა, რომ დაარწმუნოს მისი ფულადი სახსრების კეთილსინდისიერ მართვაში და არც თანხის ნაწილი დაუბრუნა. ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა წერილობით განმარტებაში განაცხადა, რომ მიღებული თანხიდან გამოაკლებდა ხარჯებს და დარჩენილ თანხას დაუბრუნებდა კლიენტს, რისთვის მას კომისიის მიერ მიეცა გონივრული დრო, თუმცა ადვოკატი ლალი ბიწოშვილი კლიენტს არ დაკავშირებია.

6.22 შესაბამისად, ეთიკის კომისია, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ადგენს, რომ ადვოკატმა დაარღვია ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისთვის, ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი, ფულადი სახსრების პროპორციული ოდენობის დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15), ვინაიდან ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული თანხიდან, კლიენტს შეთანხმებული მომსახურება სრულად ვერ გაუწია და გამოუმუშავებელი თანხა მომსახურების შეწყვეტიდან გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა კლიენტს; ასევე, თანხა, რომელიც ხარჯების სახით მიიღო, სრულად არ გამოუყენებია და კლიენტისთვის არ დაუბრუნებია მომსახურების შეწყვეტისთანავე.

6.23 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“.

6.25 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, თუმცა საქმეშია ადვოკატის მიერ ჩადენილი ერთზე

მეტი დისციპლინური გადაცდომა. ამასთანავე, ადვოკატს ჰქონდა დისციპლინური წარმოების პროცესში ქცევის ცვლილების, კლიენტთან კომუნიკაციის აღდგენის, მისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და ფინანსური საკითხების გარკვევის შესაძლებლობა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ადვოკატს არც დისციპლინური წარმოების პროცესში ჰქონია მცდელობა გაერკვია ყოფილ კლიენტთან შეწყვეტილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გამოწვეული მდგომარეობა. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ პირობებში, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის პრაქტიკის გათვალსიწინებით ადვოკატის მიმართ პროპორციული პასუხისმგებლობის ღონისძიება იქნება - გაფრთხილება.

6.26 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1(ა) მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №066/20 დადგინდეს ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ლალი ბიწოშვილის მიმართ /სიითი №2678/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/